„საქართველო-ჯერ ქართველთათვის!“

ქართული ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ორშაბათი. მაისის 12. (აპრილის 29) 1919 წელი.

№ 47.

ფასი 1 მან. 50 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

გაზეთის ფასი წლის დამლევამდე 35 მ. ნახევარი წლით 25 მან. | სამი თვით 15 მან. | ერთი თვით 5 მან.

ყოველ-კვირეული საორშაბათო გაზეთი

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22/III 50
№ 29

## შინაარსი

მეთაური. კვლავ საფრთხის წინ.
ძველი ქართველი. საგარეო პოლიტიკისათვის.
პროფ. ალ. ცაგარელი. „სამცხის გამოსყიდვა“.
მ. ბექაია. საქართველოს ფინანსები.
რაე. ორი მისტერი.
ფელეტონი. რიხტერის „სოციალისტური რესპუბლიკა“.
კორესპონდენცია. ალვანის ოთხივე თემის ყრილობა. სოფლის ადმინისტრაცია.

უკანასკნელი ცნობები (კვირის ტელეგრამები და ამბები) მესამე გვერდზეა.

---

რაფიელ ბესარიონის ძე ნიჟარაძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ თავის ძვირფასი და დაუვიწყარი მამის დეკანოზის

**ბესარიონ ნიჟარაძის**

(თავისუფალ სვანის)

გარდაცვალებას.

---

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება.

ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, მაისის 12, 13 და 14-ს 10-დან 1 საათამდე მიიღება თფილისში სამეურნეო ბანკში ხელის მოწერა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების აქციებზე. თითო აქცია ღირს 300 მან., რომელიც შემოტანილ უნდა იქნას სამ ვადაში. ახლავე უნდა შემოტანილ იქნას თითო აქციაზე 50 მან. დამარჩენი ვადები გადაწყვეტილი იქნება საზოგადო კრებაზე. თითო აქციაზე ხარჯებისათვის (კვიტანციისათვის მარკა და სხ.) უნდა შემოტანილ იქნას აგრეთვე თითო მანეთი.

ყოველივე ცნობებს მიაწვდის აქციონერთ დამფუძნებელთა რწმუნებული სამეურნეო ბანკის დირექტორი პ. ა. გოთუა.

---

## ქართული ლატარია

თუ კულტურულად მოღონიერდა საქართველო მტერი ვერაფერს დაგვაკლებს.

ჩვენ კულტურას კი გააშუქებს და განადიდებს ქართული უნივერსიტეტი და თეატრი.

შეიძინეთ ქართულ ლატარიის ბილეთები.

---

## ქართული ლატარია

დავანებოთ თავი
ყველაფერს და ყველას!
ერთი კითხვა მწვავი
ახლა ითხოვს შველას.
ჯერ არ დაგვირგვინდა,
ლატარიის ბედი!
ხელოვნება გვინდა
განათლების სვეტი.
ეხლა ლექსი აქებს,
ჩვენი ქვეყნის მმართველს,
ყველა მოქალაქეს,
ყველა ერთგულ ქართველს:
მოგვაშურეთ მალე
ჩვენ გასწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მსურს მუდამ ვუმღერო,
ერს სხვა ფიქრით გართულს:
„მოაშურე ერო,
ლატარიას ქართულს“.

---

ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოებანი

### სახელმწიფო თეატრში

პარასკევს, 16 მაისს, გაიმართება

# სასულიერო კონცერტი

ახალი ლიტურღია

მუსიკა დ. არაყიშვილისა.

---

თფილისი, მაისის 12.

## კვლავ საფრთხის წინ.

რა დასამალია, რომ საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება კვლავ დიდი საფრთხის წინა სდგას.

თუ ჩვენი დამოუკიდებლობის პირველ ხანებში ყველა წრეების და პარტიის გაერთიანებულ მუშაობით შედარებით ადვილათ თავს ვაღწევდით ყოველგვარ საფრთხეს, მას შემდეგ რაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ყველა სხვა მიმართულებებს, პარტიებს და ჯგუფებს, რომ ქვეყნის მთელი ძალა-უფლება სავსებით ხელში ჩაევდო და სახელმწიფოს აპარატით და ხაზინის უხვი დახმარებით შექმნა სოციალ-დემოკრატიული დამფუძნებელი ყრილობა, განდევნა სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ყველა სხვა მიმართულების წარმომადგენლები,—ქვეყნის ცხოვრება იმდენად აირია, მისი საქმიანობის მაჯის ცემა იმდენად მიდუნდა, რომ ახალ და დიდ საფრთხის თავიდან აცილება დამოუკიდებელ საქართველოსათვის ბევრად ძნელია და რთული.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტმა საქართველოს მთავრობას წარუყენა სამი დიდი კითხვის გადაწყვეტა: ჯარის ორგანიზაცია, ადმინისტრაციის მოწყობა და ფინანსიურ ცხოვრების მოგვარება.

ამ მხრივ მთავრობის პირველი დეკლარაციები შეენოდნენ მრავალ დაპირებებით. ქვეყანა მოელოდებოდა ამ დაპირებანის ცხოვრებაში გატარებას. მაგრამ გაიარა ერთმა წელიწადმა და უნდა გამოვტყდეთ, რომ მენშევიკების სიტყვების და საქმის შორის ჯერ კიდევ დიდი ზღვარია. სახელმწიფოს დღემდის არც ერთი ორგანიზაცია არა აქვს ხეირიანად მოწყობილი.

სოციალ-დემოკრატებმა აქამდის ვერ მოაგვარეს საქართველოს შეიარაღებულ ძალების ორგანიზაცია, ვერ გამონახეს ვერც მისი ფორმა, ვერც მისი შინაარსი. დაუსრულებელ ორჭოფობაში, კამათში ისე გამოილიენ რომ თავის გაკოტრების დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრების სამხედრო კომისიაში ამ დიდ საკითხის გამორკვევა მიანდვეს რუსებს გენერალ ფელიცინს, ვორონოვიჩს და სომეხ აუშტროვს.

სახელმწიფოს ადმინისტრატიული აპარატი სოციალ-დემოკრატებმა ჩაუგდეს ხელში ყველა ჯურის ავაზაკებს და ბანდიტებს. ქვეყანა გმინავს ამ „რევოლუციით მონაპოვარ“ კომისარ-მილიციონერების მექრთამეობის ქვეშ.

ფინანსიური შემოქმედება მენშევიზმისა საბექდავ დაზგაზე გაიყინა. ფონდის მიწები ჯერ არ გაყიდულა. გლეხ-კაცს ამ „მონაპოვრიდამ“ ჯერ არც ერთი გოჯა მიწა არ მიეცა. მიწის ფონდი გადაეცა ერობებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მოხელეებს, აგენტების და პროპაგანდისტების შესანახად.

სპეკულიაციამ გრანდიოზული ფორმები მიიღო. ვაჭრობა-მრეწველობა, კერძო საკუთრების რღვევის და შელახვის გამო, ნიადაგ გამოცლილი, სოციალისტ სპეკულიანტთა გაავთრებულ ტალღების მსხვერპლად შეიქმნა.

პური, ხორცი, სანოვაგე და პირველ საჭიროებათა ნაგნები გეომეტრიულ პროგრესიით ძვირდება და ახლო მომავალში საარაკო ფასებს გვპირდება.

იაფ თეთრს პურს და შაქარს მხოლოდ ქალაქებში სოციალ-დემოკრატიის მოხელეები და პარტიის მუშები მიირთმევენ. ხალხი კი იღრჩობა სიძვირეში და ძონძებში გახვეული დაძრწის ქალაქებში ყოვლი არშინ ბიაზის 100 მან. და ერთი წყვილ ქალამანის 150 მან. საყიდლათ! უცხოელებს საქონელი არ შემოაქვთ. ეშინიათ: ქართველებს საკუთრება არა სწამთო, მოგვატყუებენ, ფულს არ მოგვცემენ და გაგვძარცვამენო.

აი ის საშინელი შინაური საფრთხე, რომელმაც გარეშე საფრთხის კარამდის მიგვიყვანა.

მაგრამ ეს კრიზისი ქვეყნისა ხელოვნურად გამოწვეულია. ქართველ ხალხში ჯერ კიდევ იმდენი სასიცოცხლო ძალა იმალება, რომელიც შესძლებს საქართველოს შენახვას. რასაკვირველია იმ შემთხვევაში თუ მისი მთავრობა შეუდგება ქართველ ხალხის მოთხოვნილებათა თანახმად ნამდვილ სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, პარტიულ, პროვინციალურ და ნათესაურ შოვინიზმზე ხელს აიღებს და მიმართავს საქართველოს ყველა კუთხის ხალხს, ყველა წრეებს განურჩევლად რწმენისა თუ რჯულისა და მოიხმობს სახელმწიფოს აშენებისათვის.

ჯერ კიდევ არაა გვიან.

ქართველთა პატარა მაგარ ჯარის და რიგიან ადმინისტრაციის მოწყობას საქართველოს მთავრობას არ გაუჭირდება, რა წამს პარტიულ პოლიტიკას თავს დაანებებს. ჯარის და ადმინისტრაციის ორგანიზაციის საქმის სათანადოთ დაყენება მაშინადვე ქვეყნის ცხოვრებას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებს. შიგნით დამყარდება მშვიდობიანობა, გარედან—მოვიპყრობთ ნდობას და პატივისცემას ჩვენ ქვეყნისა თავისუფლებისადმი.

მაშინ გარეშე საფრთხეც მალე გაქრება და სამაგიეროდ უცხოელები ხელს გაგვიწვდიან და დაგვეხმარებიან რჩევით, საქმით, სახსრით.

დღევანდელ მდგომარეობაში მხოლოდ ორი გზა გვაქვს ასარჩევი: სოციალ-დემოკრატიული ვიწრო პარტიული ბილიკი, რომელიც საქართველოს ეკონომიურ-პოლიტიკურ სიკვდილის უფსკრულისაკენ მიგვაქანებს, ან და ფართე სახელმწიფოებრივი, შემარიგებელ, გამაერთიანებელ, პატიოსან და მუყაით შრომის გზა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად.

თუ რომელ გზას საბოლოოდ ირჩევს ნოე ჟორდანიის მთავრობა ამაზე დამოკიდებულია ჩვენს წინ მდგომი საფრთხის ბედი და საქართველოს მომავალიც.

---

## საგარეო პოლიტიკისათვის.

საგარეო საქმეთა მინისტრის სიტყვით დამფუძნებელ კრებაზე, საქართველოს მდგომარეობა მეტად სერიოზული და დამაფიქრებელი ყოფილა.

ის მუშაობა, რომელსაც უნდა დაეგვირგვინებინა და უნდა დაეგვირგვინოს კიდეც ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, და რომელსაც საგარეო საერთაშორისო პოლიტიკა ეწოდება, ჩვენ არ გვიწარმოებია, თუმცა საქართველოს ჰქონდა გარეშე სამინისტრო, ეწეოდა დიდ ხარჯს და დასავლეთ ევროპაში არა ქართველი და არა საქართველოს ქვეშევრდომნიც წარმომადგენლათაც კი ჰყავდა. (ვიტინსკი, ვოლსკი).

ეს საქმიანობა დღემდის ემყარება დიპლომატიას და დიპლომატია კი გეგეჭკორის განცხადებით საქართველოს არ უწარმოებია.

ჩვენ ამაში იმ თავითვე ეჭვი არ შეგვიტანია. გეგეჭკორს და მის პოლიტიკას ჩვენ სულ მუდამ ვეძახდით საქმეთა გარეშე მინისტრს და საქმეთა გარეშე პოლიტიკას. და გეგეჭკორის სიტყვაც დამფუძნებელ კრებაზე გახლდათ დიდი ჰიპოკრიტობა, დიდი მობოდიშებასთან, დიდი გაკიცხვა იმ წარსულისა, რომელიც საკუთარის ხელით უწარმოებია საგარეო საქმეთა მინისტრს.

აღნუსხვა ამ „საქმის გარეშე სამინისტროს“ მოღვაწეობისა გახლავთ დაკარგვა და განელება იმ პრესტიჟისა და სიმპატიებისა, რომელიც საქართველოს ჰქონდა წინათ. გეგეჭკორის სიტყვით ინგლისის ადგილობრივ წარმომადგენელთა მოქმედებაში დღემდის არა სჩანს გაძლიერება დიდი ბრიტანეთის იმ სიმპატიებისა, რომელიც გვამცნო ცნობილმა დეპეშამ ლონდონიდან. ხოლო რა საშუალება მიიღო და რა გადაჭრილი ნაბიჯები გადასდგა ჩვენმა სამინისტრომ, რომ ინგლისელ ადგილობრივ წარმომადგენელთა პოლიტიკა სწორეთ ამ ლონდონის სიმპატიებს დამორჩილებოდა? პირიქით, ჩვენ ვიცით და გეგეჭკორიც აცხადებს, რომ მთელი ქართული საქმიანობა ქართული ჯარიც, ქართული ფულიც და ქართული სისხლიც ინგლისელების ადგილობრივ წარმომადგენელთა დეპეშებს ემორჩილებოდა.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ უზენაესი წარმომადგენლობა საქართველოსი, მისი პარლამენტი, გეგეჭკორის დაჟინებულის მოთხოვნით ახლა ინგლისელების გენერალს და მადლობა გამოუცხადა, როგორც ჩვენ მაშინ ამაოთ ვყვიროდით, საქართველოს ეროვნულ ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დეპეშასათვის. და კიდევ ვიცით თუ რა ფასი აქვს ასეთ უცნაურ პოლიტიკას, სხვა სახელმწიფოთა თვალში.

მინისტრი, რომელსაც გარეთ დიპლომატია არ უწარმოებია, ვიცით რომ შიგნით დიდი დიპლომატი იყო და დღესაც მისდევს ამ გზას. როგორც წინათ უმალავდა ქართველ ხალხს, თუ გნებავთ სომხების ომს, ისე დღესაც მიუხედავათ იმისა, რომ გამოაცხადა „დაჟეჟილს გატეხილი სჯობიანო“ და „დიდ დანაშაულობას ჩაიდენს ყველა ის, ვინც ერს დაუმალავს სინამდვილესო“,—ამავე დროს კი არაფერი სთქვა იმის შესახებ თუ მისი ხელით როგორ დაირღვა საქართველოს სახელმწიფო პრეროგატივები.

ბ. გეგეჭკორი იუსტიციის მინისტრიც არის. და აი, ამ იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გამოუშვეს ციხიდან შმაგაილოვი და კუჩერიანცი.

თუ ამ დამნაშავეთა განთავისუფლება ასე საჭირო იყო ინგლისისათვის, ეს უნდა მომხდარიყო ინგლისელ ჯარის-კაცთა ხელით და არასოდეს საქარ-

თველოს სახელმწიფო სუვერენობის დაცვისათვის მოწვეულ მინისტრის ბრძანებით.

ამის შემდეგ დიდი უფლება აღარა გვრჩება მოვითხოვოთ ჩვენი ღირსების შეულახველობა, თუ მეტს თავგამოდებას არ ვიჩენთ ამ ღირსების დასაცველად.

იქ საცა იციან რა არის ეროვნული ღირსება, სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობა და სუვერენობა, კანონი და უფლება ასეთი საქციელისათვის პასუხისმგებლობაში აძლევენ სახელმწიფოს გინდ უმაღლეს მოხელეთ.

დღემდის, სანამ პარიზის კონფერენციაზე, არსებობდა ანტანტის შორის უთანხმოება სხვადასხვა საკითხის გამო, ამ ხალხს, აღზრდილს სოციალისტურ, ანტისახელმწიფოებრივ აზროვნებაში, კიდევ ეპატიებოდათ სხვადასხვა რადიოთა მიხედვით მესამე ინტერნაციონალის იმედი. მაგრამ მას შემდეგ რაც მოხდა ხსენებული უკანასანელი შეთანხმება და კონფერენციამ ამიერ-კავკასიის და საქართველოს საკითხებისთვისაც მოიცალა, ცხადია ასეთი პოლიტიკის გაგრძელება იქნება საქართველოს ბედის შეწირვა პორტფელებისათვის და სამინისტრო სავარძლებისათვის.

ჩვენ, ნაციონალისტები, რომლის იდეალი მუდამ ყოფილა, არის და იქნება დამოუკიდებელი საქართველო, დღეს იმ ძალთა განწყობილებაში, რომელიც არის შექმნილი ჩვენ გარშემო, ვითხოვთ მეტს სიდინჯეს და აზრიანობას ნაციონალური პოლიტიკის თვალსაზრისით იმ აშკარა კონფლიქტის პოლიტიკაში, რომელსაც ადგება სამინისტრო ინგლისელებისა და მოკავშირეების მიმართ საეჭვო ბოლშევიკური რადიო ბიულეტენებით დაიმედებული.

მინისტრის სიტყვებს, რომ „საჭიროა დინჯი, აუჩქარებელი, ყოველ ნერვიულობას მოკლებული და მეთოდიური საქმიანობა“, ჩვენ დავუმატებთ, საჭიროა ამასთანავე სახელმწიფოებრივი ჭკუა, ეროვნული და სახელმწიფოებრივი შეგნება, მეტი ღირსება და ვითარების სწორი, ეროვნული შეფასება. მოსულ სახელმწიფოებთან საჭიროა კომპრომისის გამონახვა და მით საქართველოსათვის თავისუფლების შენახვა.

ძველი ქართველი.

## სამცხეს „გამოსყიდვა“.

(ისტორიული შენიშვნა)

ცნობა, აჯანყებულ მუსულმანთაგან აწყურისა, ახალციხისა და აბასთუმანის ჩამორთმევისა, მასთან ერთად დამაღონებელ ფიქრებს იწვევს იმ მხრივ, რომ ჩვენი დღევანდელი სამხედრო ძალა შედარებით უფრო სუსტია იმ ახლო წარსულის დროსთან, როცა, როგორც ხმებია გავრცელებული, საქართველო ყოველ მხრივ ძალზე დასუსტებული იყო და ითხოვდა რუსეთის მფარველობას.

მაგრამ, ერთი მუჭა მუსულმან ასკერებისა, ბეგებისა და სხვა თურქულ ბანდების თავდასხმაც ხომ იმის წინ მოხდა, როცა სრულდებოდა 150 წელი ასპინძის ომისა. იმ ომისა, სადაც მეფე ერეკლემ 1770 წელს აპრილის 30, სწორეთ იმავე ადგილებში, ახალციხესა და აწყურს შუა, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, სოფელ ასპინძასთან საშინლათ დაამარცხა ოსმალოს სამხედრო ძალა?

მხოლოდ დაუდევრობითა და გაუფრთხილებლობით თუ აიხსნება ჩვენი დროებითი დამარცხება ამ საზღვრებზე. ჩვენმა მტრებმა, (ხოლო ისინი ძალზე ბევრია) რომელნიც გუშინ ჩვენი პურით იკვებებოდენ და სარგებლობდენ ჩვენი სტუმართ-მოყვარეობით და მფარველობით, დრო გვიხელთეს და თავს დაგვესხნენ სწორეთ იმ დროს, როდესაც ჩვენ ქვეყანას ამისთვის მოუმზადებელი და „ჩვენ ყველა ძმები და ამხანაგები ვართ“ დევიზის მქონე ხალხი მართავს. ამ დევიზს დიდი ხანია იცნობს სახარება, მაგრამ ომები ამით ჯერ არ შეწყვეტილა. ზოგიერთებსა ჰგონიათ, რომ საზღვრების დაცვისათვის მაინცა და მაინც თავი არ უნდა შევიწუხოთ, ვინაიდან სოციალიზმის მქადაგებელნი ამბობენ, პროლეტარს სამშობლო არა აქვსო.

ჯერ კიდევ რამოდენიმე წლით ადრე, ვიდრე ეს საშინელი ომი მოხდებოდა, ევროპის სხვადასხვა კონგრესებზე ამბობდენ, რომ აღსრულდა ებრაელ მოციქულთა წინასწარმეტყველება მუდმივ მშვიდობიანობაზე, იმაზე, რომ ერები დაივიწყებენ უთანხმოებას, ხმლებს ნამგლებათა გადაადნობენ და ცხვარი და მგელი ერთად იძოვებენო, ამიტომ დადგა დრო მხოლოდ შინაური რეფორმებისაო. მაგრამ დარვინის მიმდევრებმა დაივიწყეს ამ მოხუცის სიტყვები, რომ ცხოვრება არის არსებობისათვის შეუსვენებელი ბრძოლა, ხოლო მეორე მოხუცმა (გიოტემ) სთქვა, რომ „მხოლოდ ის არის ღირსი თავისუფლებისა და ცხოვრებისა, ვინც მასზე ყოველ-დღიური ომით იმარჯვებსო“.

ქართველობა ინსტიქტიურათ გრძნობდა ამ კანონს ბუნებისას და შეუცვლელად ასრულებდა მას მთელ ათეულ წლების განმავლობაში. არასოდეს გაქცევია ათასგვარ გაჭირვებას. არასოდეს უფიქრნია დამშვიდებით ეცხოვრა სხვის პურზე, ისე როგორც ამას სჩადის ზოგიერთი ჩვენი მეზობელი, რომელიც გადიდგულდა კიდეც სხვის ფრთათა ქვეშ.

ამიტომ მოაღწია დღემდი, თავის მამაპაპათაგან სისხლითა და ოფლით მორწყულ მიწაზე მცხოვრებმა ქართველმა ერმა და არ გაითქვიფა იმ მტერთა ოკეანეში, რომელიც მას გარს ახვევია.

საფრანგეთის რესპუბლიკანელები, რომ ისე მსჯელობდენ სამშობლოს მთლიანობისა და ხელუხლებლობაზე, როგორც მსჯელობდა მარქსი ან ენგელსი, მაშინ ისინი დიდი ხანია მისცემდენ პარიზს გერმანელებს. უკანასკნელმა ომმა გვაჩვენა, თუ როგორ შორსა ვართ ჩვენ ჯერ კიდევ იმ დროზე, რომ გამეფდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ და ამიტომ თქმულება „თუ ეძებ ზავს მზად იყავ ომისთვის“—ჯერ კიდევ ძალაში რჩება.

ერები, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ იარაღით ხელში აღიმართენ და თავიანთი პრეტენზიები გამოაცხადეს, როგორც ვიცით არ ეკუთვნიან კავკასიის აბორიგენებს. ასეთები არიან სომხები, ოსმალები და ყაზახები. ჰაიკანელები აბორიგენები არ არიან სომხეთშიაც, რომელიც ატარებდა ამ სახელს ჯერ კიდევ იქ ჰაიკანელთა მოსვლამდი. ისინი უფრო გვიან მოსულნი არიან, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზით—შემოჭრილნი კავკასიის მთის ჩრდილოეთსა და სამხრეთში, აგრესიული მიზნებით. სომხები და რუსები შემოვიდენ საქართველოში „ტროის რაშის“ მაგვარათ: პირველნი, როგორც უპატრონო ლტოლვილნი, სომხეთის დაცემისა და მისი სპარსეთსა და ბიზანტიის შუა გაყოფის შემდეგ დღემდი, მეორენი კი როგორც მეგობრები და მოკავშირენი მალე გადაქცეულნი ბატონებად.

ოსმალები საქართველოსა, სამცხისა, აჭარისა, ლაზისტანისა და აფხაზეთის საზღვრებში შემოვიდა მე-16—საუკუნის დამდეგს, ხოლო 1516—1517 წ.წ. დაიჭირეს მთელი მიდამოები რიონისა და ჭოროხის შუა.

სამცხე რომ ბუდეა უძველეს და განთქმულ ქართული შტოისა—მოსახებისა, მოსხებისა, მესხებისა, რომლის სახელი შენახულია საქართველოს პირველ სატახტო ქალაქის სახელ მცხეთაში, რომ სამცხე სამშობლოა ჩვენი საუკეთესო სამხედრო უფროსებისა და მწერლებისა, როგორც სასულიეროსი, ისე საეროსი—რუსთაველისა და თორნიკესი, რომელმაც დაამარცხა ბარდა—სკლიაროსი, რომ სამცხე არის საუკეთესო რელიქვია ჩვენი საეკლესიო არხიტექტურისა—უკვე ყველასათვის ცნობილია.

ერთი ნატურალისტის ცნობით, 40 სხვადასხვა ხარისხის ვაშლი, რომელიც ახალციხის რაიონში არის, საკმაოთ ამტკიცებს მისი კულტურის სიძველესაც.

ამ შენიშვნაში მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო მხოლოდ სამცხის სამხედრო—სტრატეგიულ მნიშვნელობას. ამისთვის მე მოვიყვან მე-18 საუკუნის ცნობას, როცა რუსეთი ყოველ საომარ მოქმედებაში აქტიურათ იწვევდა საქართველოსაკენ.

მას შემდეგ, რაც ოსმალებმა დაიჭირეს სამცხე—საათაბაგო მე-16 საუკუნეში იგი თანდათან გადაგვარდა, როგორც სარწმუნოებრივ, ისე ნაწილობრივ ენის მხრითაც და შეიქმნა მაგარი ბაზა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებისათვის მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის ხეობებში, სადაც ოსმალებმა ხელი მიჰყვეს მცხოვრებლებზე თავდასხმას.

ერთ-ერთი მიზანი 1783 წლის ხელშეკრულებისა, რომელიც ერეკლემ რუსეთთან დასდო, იყო სამცხეს, ე. ი. ახალციხის ფაშალიკის, ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლება. ერეკლემ მიიღო რა მოპატიჟების ქაღალდი, ჯერ კიდევ 1768 წელს ეკატერინესაგან, რუსეთ-ოსმალეთის ომში მონაწილეობისა, სამაგიეროთ ეკატერინეს სამცხეს დაბრუნება მოსთხოვა.

გენერალი ტოტლებენი, 3,000 კაცისაგან შემდგარი რაზმით, აპრილის დამლევს 1770 წელს და ერეკლე თავისი 7,000 კაცისაგან შემდგარი ჯარით და კათოლიკოსის რაზმით, რომელიც შესდგებოდა საეკლესიო გლეხებისაგან და მისივე თავად-აზნაურთაგან, ერთი ეპისკოპოზის თანხლებით მიადგენ ახალციხეს. (სახელ-განთქმული კათოლიკოსი ანტონი პირველი და სხვა სასულიერო წოდება, რასაკვირველია ვერ იფიქრებდა, რომ 149 წლის შემდეგ საქართველოს „სახელმწიფო მამები“, რომელთაც შესცვალეს ერეკლე, ისეთ ნაბიჯს გადასდგამდენ, როგორიც არის ეკლესიის სახელმწიფოსგან სრული ჩამოშორება! მაგრამ, tempora mutantur... ხოლო ახალი თაობა კათოლიკოსის მცხეთის აზნაურებისა, როგორიც არის გედევანიშვილი, დღესაც გაბედულათ მიიწევს ახალციხის ფრონტზე).

გზად, აწყურში, ტოტლებენმა მიატოვა ერეკლე და თავისი რაზმით გაიქცა დუშეთში. ალბათ ფიქრობდა ერეკლეს დამარცხების შემდეგ ოსმალები მე დამედევნებიანო. ტოტლებენის გაქცევის შემდეგ, ერეკლემ მარტოთმარტო დარჩენილმა, უზარბაზნებოთ აღარ განაგრძო გზა ახალციხისკენ. გადავიდა მტკვრის მეორე ნაპირს და აქ სოფელ ასპინძის ახლოს, მტკვრის მარჯვენა ნაპირას დაბანაკდა იმ იმედით, რომ ხერთვისით ტფილისს დაბრუნდებოდა.

ოსმალებმა, გაიგეს რა ტოტლებენის წასვლა და ერეკლეს მარტო დარჩენა, გადავიდენ ხიდზე და უეცრივ თავს დაესხნენ ქართველთ. ერეკლე არ დაბნეულა: მან დაუყონებლივ გაგზავნა ნაწილი ჯარის-კაცებისა, რომ ხიდი დაენგრიათ, ხოლო თავის ჯარს უბრძანა მთელის მძლეობით დატაკებოდენ ოსმალთ. თითონ, როგორც ყოველთვის, წინ წავიდა და მოკლა მტრის გმირი კოხტა—ბელადი. მტერი შედრკა და მოინდომა უკან დაეწია იმ იმედით, რომ მტკვრის მეორე ნაპირს მშვიდობით გავიდოდა, მაგრამ ხიდი დანგრეული აღმოჩნდა. ქართველებმა ბევრი დახოცეს, ხოლო ბევრიც წყალში გადაცვივდა და დაიღუპა.

ერეკლემ, ნადავლი ასპინძის ომისა—25 დროშა და სამხედრო ტყვეები—ეკატერინე მეორეს გაუგზავნა.

ომის გათავების შემდეგ ერეკლემ, ტოტლებენთან, დუშეთში, კაცი გაგზავნა და შეუთვალა: ნუ გეშინიათ. მართალია მარტო დავრჩით, მაგრამ ღმერთმა არ გასწირა საქართველო და მიანიჭა მას გამარჯვება. ოსმალნი დამარცხებულია. თხოვნისამებრ გიგზავნით პურს.

ასპინძის ომმა გასწყვიტა დასავლეთ საქართველოს ბედი—ოსმალთა გარნიზონებმა დასცალა ბაღდათი, ქუთაისი და სხვა ადგილები.

ტოტლებენმა, გაიგო თუ არა, დაბრუნდა თავისი რაზმით დუშეთიდან ქუთაისში და დაიწყო—არქიერის გორაზე ცარიელი ციხის აღება, რომელმაც ძალზე დააზიანა სახელგანთქმული ბაგრატის ტაძარი.

ერეკლე პეტერბურგში სწერდა, რომ ასპინძის ომის შემდეგ დამარცხებული ოსმალობა იძულებული იყო კატისა და ძაღლის ხორცით გამოეკვება თავი და გაქცეულიყო ქუთაისიდან მანამ, სანამ იქ ტოტლებენი ჩამოვიდოდა.

ერთი სიტყვით ასპინძის ომს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელ საქართველოსათვის და რუსულ-ქართულ კომპანიისათვის 1769—1771 წ.წ. ყველაზე უფრო მკაცრი კრიტიკა ტოტლებენის საქართველოში მოქმედებაზე დასწერა ტოტლებენის შემდეგ ნამყოფმა გენერ. სუხოტინმა, ეკატერინეს მიერ დაარსებულ წმიდა გიორგის კავალერმა. მაგრამ ვერც მან ადგილობრივი ბუნების და სხვა პირობათა უცოდინარობის გამო ვერ შესძლო გაფუჭებული საქმის გამოსწორება.

არა თუ მარტო ერეკლე აძლევდა დიდ მნიშვნელობას საქართველოსათვის ახალციხის ოლქს, არამედ თვით გენ. ტოტლებენი, სუხოტინი და რუსეთის სხვა წარმომადგენლები. ახალციხე აღებულ იქმნა მხოლოდ 60 წლის შემდეგ, 1830 წელს რუსულ-ქართული ჯარით.

ასეთი შრომითა, ტანჯვით და სისხლით დაბრუნებული ახალციხის ოლქი, ეჩმიაძინის პატრიარქის თხოვნით, პასკევიჩმა სომეხ ლტოლვილებითა და ერზერუმიდან გადმოსახლებულებით აავსო, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებნი, როგორც მუსულმანობა, ისე ქრისტიანობა, გადაყვანილ იქნა ოსმალეთში.

წარსული საუკუნის 50 წლებში, სევასტოპოლის ომის დროს, ოსმალებმა ერთხელ კიდევ მოინდომეს ახალციხის ოლქის დაბრუნება, მაგრამ უშედეგოთ. ახალციხის ომის დროს სახელი გაითქვა ქართველმა მეომარმა ივანე მალხაზისძე ანდრონიკაშვილმა, რომლის ვაჟკაცობაზე, თავისებურ სამხედრო ტაქტიკაზე დღეს ანეკდოტებიც კი დადის ხალხში. ეხლა, როცა სომხეთი თავის სახელმწიფოს აშენებს, დროა ეს სტუმრები ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებისა სომხეთს დაუბრუნდეს და განთავისუფლებული ადგილები კი ადგილობრივი მცხოვრებით აივსოს, რომელთაც ეგზომ უძნელდებათ უმიწობა. თორემ სომხეთი უსომხებოთ, სულ ერთია ფიქციათ დარჩება. იგივე ითქმის საქართველოს სხვა ნაწილებზე, რომლებიც დასახლებულია სომხობით, წარსული საუკუნის ჩვენი მმართველობის წყალობით.

— არა მანია განდიდებისა, არამედ — აუცილებლობა არსებობისა მოითხოვს ქართულ პროვინციების დაბრუნებას და შემოერთებას, რომ ქართულ სახელმწიფოს შეეძლოს საკუთარი თავის გამოკვება [illegible] ვაში ხრონიკულ დეფიციტს [illegible] ლო ყოფილ გუბერნიებისაგან, [illegible] საკმარისი არ არის ფართე სახელმწიფო მეხანიზმის შენახვისათვის.

სამწუხაროთ, ამას როგორღაც ვერა გრძნობენ ოფიციალურ წრეებში: ერთ-ერთმა პარიზის კონფერენციის მონაწილემ, რომელიც თავის თავს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს უწოდებს, ამბობენ ორი წლის წინად ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში წერილი მოათავსა, რომელშიც სხვათა შორის სწერდა, რომ „საქართველოს ოსმალეთში არავითარი ინტერესები არა აქვსო“. საჭირო იყო გვეკითხა ამ ქართველ დიპლომატისათვის: ლაზები, მაგალითად ქართულსა თუ ჩინურ ტომს ეკუთვნის? საინტერესოა ვიცოდეთ კონფერენციაზე როგორ დაიცავს იგი „საქართველოს ინტერესებს“.

ამ დღეებში დეპეშამ გვამცნო, რომ ჩხეიძემ და წერეთელმა პარიზში სთქვა: „საქართველო ტერიტორიულ შემოერთებაზე არაფერს ამბობს, იგი ითხოვს მხოლოდ საკუთარ „დამოუკიდებლობას“-ო, თითქოს მარტო თავისუფლებით, უპუროთ შეიძლებოდეს ცხოვრება! სხვა ერები თხოულობენ იმ ადგილებს, სადაც მათ არასოდეს ჰქონიათ და უთესიათ—მაგალითად სომხები კონფერენციისაგან მოითხოვენ ძველადვე კოლხიდის ქალაქს ტრაპიზონს, თავისი რაიონითა და პორტით, ხოლო ჩვენ კი უარსა ვყოფთ იმაზედაც კი, რაც საწლობით ჩვენ ხელში იყო და სადაც დღესაც კი სცხოვრობენ ჩვენი მამა-პაპანი.

მაგრამ უმთავრესი უკვე გაკეთებულია. რუბიკონი გადალახულია. საქართველო—განთავისუფლდა „ბაბილონის ტყეობისაგან“—ეხლა ჩვენ უნდა მოვიგონოთ, აღვადგინოთ და შევითვისოთ სახელმწიფოებრივი შეხედულებანი, გამოცდილება და ცხოვრების ცოდნა ჩვენი თავგანწირული წინაპრებისა, რომელთაც სამშობლოს ნავი მთელი ორი ათასი წლის განმავლობაში უვნებლათ ატარეს, მიუხედავათ აბობოქრებულ ტალღებისა. „სადაც გაიარა მამებმა,—გაივლიან შვილებიც“,—სთქვა საფრანგეთის პოეტმა ალფრედ დე მიუსემ.

პროფ. ალ. ცაგარელი.

## საქართველოს ფინანსები.

სახელმწიფოს ნორმალურ განვითარებისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა მტკიცე ფინანსიური სისტემა, ურომლისოთ სახელმწიფოს არსებობა მუდმივ საფრთხეშია და ანარქიულია. როგორიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს ფორმა, უფინანსოთ მას არსებობა არ შეუძლია. ამიტომაცაა რომ მთავრობა პირველ ყოვლისა ცდილობს ფინანსების მოგვარიანებას ქვეყანაში, ვინაიდან როგორც ვთქვით მათი სიძლიერე პირდაპირ დამოკიდებულია ამ უკანასკნელზე. ჩვენდა საუბედუროთ ამ მხრივ საქართველო მეტად რთულ დროს განთავისუფლდა. მისი მდგომარეობა ზედმეტ რთულდება საერთაშორისო გამოურკვევლობით.

საქართველოში ფინანსების შექმნა მორიგი საკითხია და ამ უკანასკნელის სიმაგრეზე იქნება დამყარებული მისი სიძლიერე, არსებობაც—კი. დღეს-დღეობით ჩვენი სალარონი ცარიელია ღირებულებით, სამაგიეროთ—კი სავსეა ქაღალდის ნიმუშებით, როგორც ჩვენი, ისე სხვა სახელმწიფოსი. აი სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი სისუსტე და ერთგვარი გაუბედაობა სხვადასხვა სახელმწიფოებრივ აქტებში. ლითონურ ვალიუტის უქონლობა აფერხებს ჩვენს საერთაშორისო დამოკიდებულებას და მძლავრათ ართულებს მომავალ ცხოვრებას ერისას.

ფინანსისტებს, საზოგადოთ, ორი საშვალება აქვთ რთული მდგომარეობა შეასუსტონ: პირველი დამყარებულია შინაგან სესხზე, მეორე კი გარეშე. ჩვენ შევეცდებით გამოვარკვიოთ ამ ორ სიტუაციაში, რომელი უფრო შესაძლებელია და როგორ პირობებში მოხდება ფინანსების აღდგენა ჩვენს ქვეყანაში.

პირველი, შინაგანი სესხი, დამყარებულია ქვეყნის დოვლათის რეალიზაციაზე, რომელიც თავის მხრივ განიზომება ამა თუ იმ ბუნებრივ სიმდიდრით და უმთავრესად მრეწველობით.

თუ რომელიმე ქვეყანაში მრეწველობა მაღლა დგას. მას ზედმეტი ბუნებრივი სიმდიდრე აქვს გადამუშავებული და ამნაირათ ის აწვდის გარეშე ქვეყნებს ამა თუ იმ საგანს, მაშინ რა თქმა უნდა ექსპორტი კარგია და ქვეყანაში დაგროვებულია ღირებულება სხვადასხვა კერძო პიროვნებებში. მთავრობა, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში მიმართავს ამ წყაროს და ჰქმნის ნორმალურ პირობებს ქვეყნისას.

ეს ზემო მოყვანილი დახასიათება ცხად-ჰყოფს, რომ ამ მხრივ საქართველო უმწეო მდგომარეობაშია. მართალია ჩვენ მრავალი ბუნებრივი სიმდიდრე უხვად მოგვეპოვება, გვაქვს აგრეთვე ნაციონალური მეურნეობა, მხოლოდ ყველა ეს ისეთ დაბალ საფეხურზე დგას უცოდინარეობით, პრიმიტივობით, რომ ჯერ-ჯერობით ანგარიშში ჩასაგდები არ არის. დაბეჯითებით თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ექსპორტი მინიმალურია და დაგროვილი ღირებულება კი ხალხისა ქვეყანაში მცირეა, აქედან ის დასკვნა გამოგვყავს, რომ ჩვენი ფინანსები, მხოლოდ და მხოლოდ შეეძლება დაეყრდნოს მეორე საშუალებას—საგარეო სესხს.

სესხის გარეშე ქვეყნიდან აღებას თავისი პირობები აქვს: იმ ქვეყანაში სადაც ცხოვრება ნორმალურ პირობებში სწარმოებს, მაგალითად, მრეწველობა და აღებმიცემობა რაციონალურათ მიმდინარეობს, ასეთი ქვეყნისათვის სესხის აღება თითქმის უზრუნველყოფილია და სესხი ხელსაყრელ პირობებში ხდება; მხოლოდ ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ჩვენი, პირობები მეტად რთულ ხასიათს ღებულობენ. ჩვენ არა გვაქვს ოქრო და ვერცხლი შენახული სახელმწიფო სალაროში, არც თუ სხვა ქვეყნებისათვის მიგვისესხებია რამე. სამაგიეროთ კი ქაღალდის ფული, „ბონი“ დღითი დღე იზრდება და ფინანსიური ბალანსი უარესათ ირღვევა. ბონს არა აქვს ღირებულების თანასწორი ვალიუტა და ეს არის მიზეზი, რომ ცხოვრება მეტად ძნელდება. ფასები პირველ საჭიროებაზე ზღაპრულ ხასიათს ღებულობს, ამ დროს ბაზარი საქონელით დღითი დღე მცირდება, ცარიელდება. თუ ჩვენ ექსპორტი ცუდი გვაქვს, იმპორტი უფრო უარეს პირობებშია: ერთის მხრივ გზების შეკვრა, მეორეს მხრივ უნდობლობა. გარეშე სახელმწიფომ რომ საქონელი შემოიტანოს ასეთ დროს, საჭიროა თანასწორი მაინც საფასური ამა თუ იმ ღირებულებით გაიტანოს და გასატანი უკვე მოწეული უნდა მზათ იყოს ან კი, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალი

## ფელეტონი.

# სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

რიხტერის კრიტიკა

თავი XXXIV.

**გაფიცვების მუქარა.**

ახალმა პროგრამამ, რეიხსკანცლერისამ, რომელსაც უნდა დაეფარა მილიარდული დეფიციტი, ყველგან ქალაქში გამოიწვია, მხოლოდ დაცინვა და კრიტიკა. აქედან რა გამოვა, არავის შეუძლია სთქვას. უკვე დიდი ხანია ლითონის გადამდნობ მუშებში რაღაც განსაკუთრებული ხასიათის მოძრაობა იყო. ისინი თავს იქებენ, რომ ყველაზე უფრო მათ შეუწყვეს ხელი რევოლუციას და ამტკიცებენ, რომ ისინი საშინლად მოტყუებულნი არიან მით, რომ მიიღეს პირველი დროის სოციალ-დემოკრატიული დაპირებები. მართლაც, რევოლუციამდე მათ „შრომის მთელ შედეგებს“ ჰპირდებოდენ. არა ერთხელ შეიძლებოდა ამის წაკითხვა ეხლა კი ისინი ღებულობენ იმ სამუშაო ფასს, რასაც სხვები ღებულობენ.

რომ ვავყოთ, ამბობენ ისინი, მთელი ფასი იმ ფაბრიკებისა და მანქანების, რასაკვირველია ნედლი მასალის დამხმარე საქონელთა ფასის გამოკლებით, ჩვენ, შორის, თითოეულს შეხვდება უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ დღეს ვღებულობთო.

ტყუილად სცდილობდა „ვპერიოდი“ დაემტკიცებია რომ მათი შეხედულება—ეს შეცდომის ნაყოფია. სოციალ-დემოკრატია ამ გაზეთის ცნობით, მუშებს არ შეპირებია მათი პროფესიონალური შრომის ნაყოფს. იგი შეპირდა მხოლოდ ყველა მუშების შეერთებას, ნაყოფს მთელი ერის შრომისას. ის, რაც გამოდის ლითონის დამმუშავებელ სახელოსნოებიდან, შექმნილია არა მხოლოდ ადამიანის შრომისაგან, არამედ ბევრ ძვირფას მანქანებისა და ხელსაწყოთა შემწეობით. საჭიროა დიდი შენობები და დასამუშავებელი საშუალებანი. ყველაფერი ეს შექმნილია არა იმ მუშებისაგან, რომელნიც დღეს ამ სახელოსნოებში მუშაობენ. იმისთვის, რომ საზოგადოება სდებს ძირითად თანხას, შრომის ნაყოფისაგან მას ეკუთვნის ნაწილი, რომელიც გადარჩება თითოეულ მუშის ფასს.

ეს როგორღაც ვერ შეიგნო რკინის დამმუშავებელმა მუშებმა. ისინი ფიქრობენ, რომ თუ სახელმწიფო ან და საზოგადოება ყლაპავს ეხლა იმ დივიდენდს, რომელსაც წინად აქციონერები ღებულობდენ თავიანთ კაპიტალში, ეს მათთვის ორი ფეხსაცმელია—წყვილი. ამისთვის კი რევოლუციის მოწყობა საჭირო არ იყო.

მას შემდეგ კი როცა სთქვეს თორმეტი საათის შემოღების აუცილებლობაზე, რკინის დამმუშავებელი მუშები ძალზე გაბრაზებული არიან, იმუშაო 12 საათი ყოველ დღე, ცეცხლთან ეს ის კი არ არის, რომ 12 საათი დახლში იჯდე და მყიდველებს უცდიდე ან და ბავშვებს ყურს უგდებდე.

ერთი სიტყვით ისინი მოითხოვენ „შრომის მთელ ნაყოფს“, როგორც ეს მათ ესმით და მასთან ერთად 10 საათის სამუშაო დღის პირობით. ღამე ლითონის დამმუშავებელთ უკვე კრება ჰქონდათ, რომ გამოეძებნათ საშუალება ყოველივე ამის ცხოვრებაში ძალით გატარებისა. ლაპარაკობენ მომავალ გაფიცვებზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 40,000 ბერლინის მუშა.

**მასიური გაფიცვები და ომის დასაწყისი.**

იმის შემდეგ, რაც მთავრობამ არ მიიღო რკინისგზის მუშათა მოთხოვნილებები „შრომის მთელი ნაყოფის“ მიღებაზე, მათ გაფიცვა გამოაცხადეს. მთავრობამ ბრძანება გასცა ყველა გაფიცულ მუშისათვის არ მიეცათ სადილი და ვახშამი. ყველა სახელმწიფო სამზარეულოებს ებრძანა არ მიიღონ გაფიცულთა ასიგნოვკები. ასეთივე ბრძანებით დაეგზავნა ყველა რესტორანებსა და საქონლის საწყობებს, საიდანაც მუშებს სხვადასხვა სანოვაგე უნდა გაეტანა. ყველა ამ შენობებს პოლიცია იცავს. ამ საშუალებით ფიქრობენ, მოკლე ხანში, გაფიცულთა დასჯას, ვინაიდან ის პურის ნაწილაკები და საჭმლის დანარჩენი, რომელიც მოაქვთ მათ ცოლ-შვილს და მეგობრებს, დიდხანს არ ეყოფათ.

მასთან ერთად, დღეიდან პურის ულუფა ორჯერ შემცირდა, ხოლო ხორცის ულუფა სრულიად მოისპო. ამით ფიქრობენ შეინახონ იმდენი სანოვაგე, რომ შესაძლებელი იყვეს, რამდენიმეთ მაინც საზღვრის დამცველ ციხე-სიმაგრეთა მცხოვრებთა გამოკვება. ვინაიდან გერმანული მიწების დაჭერა, რომ დაკმაყოფილებულ იქნას საგარეო პრეტენზიები, უკვე დაიწყო. საფრანგეთის კავალერიამ ლიუქსემბურგის საგერცოგოდან, უკვე გადაიარა გერმანული საზღვარი და მდინარე მოზელი და შესწყვიტა რკინისგზის მოძრაობა დიდენგოფენსა და ტრირ-საარლიუს შუა. დანარჩენმა ფრანგულმა ჯარმა, რომელნიც საკმაოდ გამაგრებულნი იყვნენ ლონჟიონში, კონფლანში, პონტ-ა-მუსონში, ნონსში და ლუნევილში, გადაიარა ლოტარინგიის საზღვარი, რომ გარს შემორტყმოდა მეცსა და დიდონგოფენს, რომ გაწეულიყვენ მერხინგენის გასწვრივ. ამბობენ, რომ ორივე ციხე სურსათით უზრუნველყოფილია, მხოლოდ 8 დღე. ასეთივე მდგომარეობაა კენიქსბერგში, ტორნეში, გრაუდენცეში. როგორც ჰგავს, პირველად ყოვლისა აპირებენ აღმოსავლეთ პრუსიაზე თავდასხმას, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე სამხრეთიდან, რომ ამის დაჭერის შემდეგ შესაძლებელი იქნეს ერთგვარი გზის შემოკლება აღმოსავლეთის ხაზით გერმანიაზე თავდასასხმელათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის უფლების ზრახვანი უნდა ხელმძღვანელობდეს, რომ ავანსით გიძლვნას რამე.

ამ მხრივ საქართველოს არა ერთი დიდი დაბრკოლება ელობება წინ და უხერხული ხდება გაცვლა-გამოცვლის საშვალება.

საქართველო რევოლუციის ხანაში განთავისუფლდა და თვით საერთო რღვევის ქარ ბუქშია გახვეული. ყოველი ნორმალური პირობები დანგრეულია, ინტენსიური მუშაობა შეცვლილია ინდეფერენტიზმით, უსაქმობით. სპეკულიაცია მუსრს ავლებს დინჯ მუშაობას და ,,ადვილი ფულის შოვას'' ხალხი აუყრია ჩვეულებრივი შრომიდან და გაუბნევია ისეთ ალაგებშიაც კი სადაც, ჩვეულებრივ დროს, მათ აზრათაც არ მოუვიდოდათ ყოფნა.

როგორც ვხედავთ საქართველოს მოუნდება სესხის აღება მეტად ცუდ პირობებში. გარეშე სახელმწიფო მოინდომებს ჩვენზედ ადვილათ გამდიდრებას და ჩარჩობას გასწევს. მძიმე პირობები, რასაკვირველია, საქართველოს წელში გასწყვეტს და მეტად დააქვეითებს, მაგრამ ოქროს შოვა და ვალიუტის შექმნა უპირველესი საჭიროება ჩვენი არსებობისათვის. ჩვენი შინაური მდგომარეობა სათანადოთ აქვთ გათვალისწინებული იმათ, ვისაც ოქროების გაცემა შეუძლიათ და ამიტომაცაა, რომ საქართველოს არცერთ დროს ისე არ სჭირებია სისხლი და ხორცამდე პატრიოტულათ გამსჭვალული, გამოცდილი მედგარი მთავრობა, როგორც ეს დღეს მას სჭირია. სამწუხაროთ წლის თავი სრულდება ჩვენი დამოუკიდებლობისა და ამ მხრივ ოდნავ არაფერი გაკეთებულა და ჩვენი დღევანდელი მთავრობა ამ საკითხზე ნაკლებ ზრუნავს.

საქართველოს ისტორიული ტერიტორია ერთად-ერთი მძლავრი კოზირი იყო კარგი ფინანსის შესაქმნელათ და ჩვენდა სამწუხაროთ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა უფრო ავიწროებს ამ ტერიტორიას ვიდრე იგი მას ალადგენს... თუ საქართველოს არ ეჭირება ყველა ის სტრატეგიული პუნკტები, რომლებიც მას არ უზრუნველჰყოფენ შემოსევისაგან, მაშინ ის სუსტი დარჩება და ამ პირობებში პირდაპირ გავლენას იქონიებს ფინანსის მოგვარიანებაზე.

დიდ ბრიტანეთს, რომ არ სჭეროდა უმნიშვნელოვანესი პუნკტები ქვეყნისა, მაშინ ის ფინანსიურათ უძლური იქმნებოდა და ვერ შესძლებდა ამ ტიტანიურ ომის მოგებას. ასევე ითქმის საფრანგეთზე, რომ მას არ ჰქონებოდა კარგი ექსპორტი. რა თქმა უნდა, ის ვერ შესძლებდა ომის წარმოებას. თუ გინდ გერმანეთი ავიღოთ. მან როგორც მრეწველმა ქვეყანამ და იმ ქვეყანამ, სადაც ცოდნის ბაგაჟი მრავლათ დაგროვებული იყო, თითქმის ოთხი წელიწადი გამარჯვებული ომი აწარმოვა. სამოცდა ათ წლებამდი გერმანეთი სუსტი იყო ფინანსიურათ, მხოლოდ საფრანგეთის ხუთმა მილიარდმა, რომელიც მთავრობამ რაციონალურათ გამოიყენა შეძლება მისცა მრეწველობას უმწვერვალესათ განვითარებულიყო. საქართველოს მთავრობამ უნდა ეცადოს განამტკიცოს ჯერ საკუთარი სიმძლავრე და შემდგომ ამისა უნდა სესხი იშოვოს იოლ პირობებში. ზედმეტი კონცესიების გაცემა გირაოთ ოქროს ფულისა, (როგორც ეს კარგ ზომებათ მიაჩნიათ ზოგიერთ ჩვენებურ ეკონომისტებს) ხალხთა მუდმივი დამონება იქმნება, ჯერ ეკონომიურათ და მერმე პოლიტიკურათ.

საქართველოს ნამდვილმა მოჭირნახულე მთავრობამ დღეს უნდა გაამაგროს ზღუდენი ჩვენი სამშობლოსი, რომ სამერმისოთ არ დაგვჭირდეს ზედმეტი ხარჯები და ომები. უნდა სისწრაფით შექმნილ იქმნას ქართული ვალიუტა და ქართული ფული.

ამ მიზნისათვის უნდა მოხდეს დევოლვაცია ჩვენს ქვეყანაში ბონების, თუ მთლათ გაბათილება არა მათი. თუ ამ თავითვე არ იქმნა მიქცეული უმთავრესი ყურადღება ჩვენ ფინანსებზე და მასთან დაკავშირებულ კარდინალურ საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს ხელმწიფობიდან, რა თქმა უნდა საქართველოს თავისუფლება ხანმოკლე და მხოლოდ ეპიზოდათ დარჩება ისტორიაში და ხელახლავ ჩავცვინდებით სხვა ქვეყნის ხელში საკრეჭ ფარათ.

მ. ბექაია.

## ორი მისტერი.

(პატარა ფელეტონი)

* * *

ჩინებული ჯენტელმენები იყვნენ ორთავენი. სერ ჯონ-პარიდის ხელობა იყო—ბევრი ლაპარაკი და ამიტომ წვერ-ულვაშს იპარსავდა. მისტერ რიკი-ხიკის საქმე იმაში იყო, რომ ჩუმად უნდა ყოფილიყო და ამიტომ წვერ-ულვაშს გარდა, მთელი სახეც ბანლით აეშავებინა. ამიტომ, როცა მოხდა რევოლუცია საქარეთის სახელმწიფოში—ორთავემ სრულის სამართლიანობით დაიჭირეს ხალხის ,,მსახურთა'' სავარძლები.

### სერ ჯონ-პარიდი.

სერ ჯონ-პარიდს მეგობრობდა ჰაე-ჰაეს სახელმწიფოს გრანდის ევაპოზას ასული და როცა ჰაე-ჰაემ საქარეთს ომი გამოუცხადა, გრანდის ასულმა ურჩია სერ ჯონ-პარიდის, რომელსაც შინაურობაში სერ-ჟონს ეძახდა: გამოცვალე თქვენი ჰურჰელთ—უხუცესი და მის მაგიერ დასვი გრანდი ევაპოზა. შეინძრა საქარეთი, ვინც კი გაბედა ხმის ამოღება ყირაზე გადადიოდა და უმაღლესი ყადი იყო თუ უმდაბლესი მაძებარი— ყველანი სასახლიდან პანტა-პუნტასავით მიგორავდნენ. დიდებულნი საქარეთისანი შეიყარნენ და ვინც დიდრონ-დიდრონი თავქარიანები იყვნენ, გადასწყვიტეს: რადგან ჰაე-ჰაეს სახელმწიფო ჩვენი მტერია და ევაპოზაც არა ერთხელ ყოფილა მათს რაზმებში—გამოეცხადოს სერ ჯონ-პარიდის უნდობლობა და წაერთვას ყველა რევოლუციის მონაპოვარი: მონა, პოვარი, დრამა და ლახტი.

### მისტერ რიკი-ხიკი.

მისტერ რიკი-ხიკი, ვიდრე უმაღლესი ხალხის უმაღლესი მსახური გახდებოდა,— ჩუმად ყოფნის დროს ამასლა ამბობდა: გაფიცვა, გაფიცვა, გაფიცვა... ვიდრე ხალხი ჩახვდა ამ პითიასებურ ამოსროლილ სიტყვას—მისტერ რიკი უმაღლესი მსახური გახდა კიდეც და... მაშინ გაიფიცნენ.

მისტერ რიკი ახტა-დახტა, ჩაჯდა თავის ,,ამტვერებელში'', როგორც ხალხმა დაარქვა მის ურემს, დაეჯახა ხალხს და შესძახა: ვფიცავ საქარეთს და გურისტანს, რომ ნაცარტუტას აგადენთო, თუ...

მაგრამ გამოვიდა ,,ერთი მათგანი'' და უთხრა:

— შენ არ გვასწავლეო.

— შენ ვინა ხარ?

— მე მი... ლი... ცი... ონე... რი, აი მოწმობაც.

შენა?

— მე მისტერ რიკი-ხიკი, ,,უმაღლესი მსახური''.

— აბა მოწმობა მაჩვენე.

მისტერ რიკი-ხიკი დაიბნა; მას, როგორც ,,უმაღლეს მსახურს'' მოწმობას ვინ მისცემდა.

მაშ ეგ მატყუარა ყოფილაო, დაიძახა ხალხმა: გვეუბნებოდა გაფიცვა, გაფიცვაო და ეხლა კი გვიშლის; გვეუბნება ,,უმაღლესი მსახური'' ვარო და ვერაფრით კი ამოწმებს, ჰკა მაგასაო და... ჰკრეს კიდეც.

* * *

ამბობენ, ჩირგვში შემძვრალა და იქ შეხვედრილ სერ ჯონ-პარიდის უჩურჩულა: მამანი ჩვენნი ხარაზები იყვნენ და ჩვენ ნალ-ბანდობას რა გვსჯიდაო.

რაე.

## კორესპონდენცია

## ალვანის ოთხივე თემის ყრილობა.

(თელავის მაზრა).

ამ ყრილობაზე დაესწრო ერთი მესამედზე მეტი მცხოვრებნი.

ყრილობის მიზანი იყო ის, თუ როგორ და რა წესით დაიცვან თუშებმა თავიანთი ხაზღვრები მოსაზღვრე ერებისაგან, როგორ გაინაწილონ ტვირთი იმ სამშობლოსი იქ სადაც ჩვენს მამა-პაპას უცხოვრია და თუ ამ საერთო ბედის წერას ვერ ავიცდენთ თავიდან, მაშინ იძულებულნი გავხდებით დავტოვოთ ჩვენი მამა-პაპათ საფლავები, რაც აკავშირებს ჩვენს გულს ამ სალ კლდეს და უხსოვარ დროიდან ტანჯულ ქვეყანას. უმთავრესი მიზეზები ჩვენის კუთხისა ისაა, რომ ჩვენი ხალხი ამ ბოლო ხანებში ათასგვარ საქმიანობას ეპიდება. ჩვენ რომ ყველანი მეცხვარენი ან ვაჭარი, ან მემამულენი ვიყვეთ მაშინ ჩვენი საქმის მოწყობა და შეთანხმება ადვილი იქნებოდა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ თუ საკეთილდღეოთ, ჩვენში ათასგვარ საქმეებს მიჰყვეს ხელი: ზოგი მეცხვარეობა-მეჯოგეობას მისდევს, ზოგი ვაჭრობას და ზოგიც კიდევ ხვნა-თესვას. ამის გამო ჩვენი სურვილებიც ათასგვარია, ერთს მთა ესაჭიროება, მეორეს ბარი. მაგრამ ჩვენ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ უმრავლესობის სურვილს და მათი სურვილი კი არის ის სალი კლდე, რომელიც გულს სულ იქითკენ იხარის. მადლობა ღმერთს მთელი დაღესტანი არ ადგა, მაგრამ მათი თავდასხმამ ბევრი ზარალი და ზიანი მოგვაყენა. თუმცა ჩვენი საღვრები უდავო არის ისე, რომ იმ ადგილებზე დავას არავინ დაგვიწყებს და საზღვრების დაცვა მარტო ჩვენი საქმე კი არ არის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეთა, რადგანაც ეს საზღვარია, ამიტომაც ეს სახელმწიფო საკითხია და არა კერძო რომელიმე კუთხესი როგორც ჩვენი. ამაში ერთი მხრით ჩვენ ვართ დამნაშავენი, რადგანაც ჩვენში გავრცელებულია „დეზერტირობა" და რომ ეს ასე არ იყოს, ჩვენ მოვალენი ვართ, როგორც სახელმწიფოს წინაშე, ისე კიდევ ჩვენი პატარა კუთხის წინაშე სალდათი გავიყვანოთ, ვინც დღეს არ იმყოფება სახელმწიფო სამსახურში. ბევრს ჩვენგანს გონია, რომ მე ჩემის თავისუფლებით ბევრს რამეს შევმატებ ჩემს ოჯახსო, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ხშირათ ხდება ხოლმე მისი მთელი ცხოვრება-ქონება მტრის ლუკმათ. ყველა ამ უბედურების მიზეზად ხდება ხოლმე ჩვენი ერთ ურთში უწესობისა და უთანხმოების შედეგი. გვქონდა დიდი სჯა ბაასი იმის შესახებ თუ რანაირათ მოგვეწესრიგებინა ჩვენი თავდაცვის საქმე და ამ ლაპარაკის შემდეგ ერთხმათ იქმნა მიღებული შემდეგი პირობები: უპირველეს ყოვლისა იქმნა დადგენილი, რომ ცხვარი სხვა გარეშე მთებში წელს წლობით არ წავიდეს, რადგანაც თავიანთ მთებშიაც იოლათ წავა საქონელი ბალახით და მით უმეტეს, რომ როდესაც ბევრი ცხვარი იქნება მთაში მტერიც ადვილათ ვერ გაბედავს დაცემას და ცხვარის თუ ცხენის მოტაცებას. უკიდურეს შემთხვევაში ვინც ამას არ დაემორჩილება იქნება დასჯილი ანუ დაჯარიმებული 1000 სულ ცხვარზედ 5000 მან. მეორე როგორც აქამდი ყოფილა იქმნას გაყვანილი 1000 სულ ცხვარზე ერთი ყარაული, ხარჯს იხდის ცხვრის პატრონი. მესამე ერთხმათ იქმნა მიღებული ოც კომლზე ერთი ყარაული, ხარჯს ყარაულისას იხდის როგორც ცხვრის პატრონნი, აგრეთვე უცხვროც. მეოთხე იქმნას გაყვანილი სამსახურში ის პირნი, რომელთაც უწევს სამხედრო სამსახური და ბოლოს იქმნა ამორჩეული ყველა ზემო აღნიშნულ პირობების შესასრულებლათ ოთხი კაცი, ე. ი. თემზე თითო, რომელთაც მისცეს იმ ოქმის პირი, რომელზედაც ხელი მოაწერა ოთხივე თემმა. ეს ამორჩეული პირნი მეორე დღესვე შეუდგენ საქმის სისრულეში მოყვანას, რადგანაც მაისის გასულს თუშების ცხვრები უკვე მთებში იქნება და ამ დროისათვის კი ყარაულები გაყვანილი და განაწილებული უნდა იქნენ მთებზედ, რომ მწყემსებს შეეძლოს გულდამშვიდებით ცხოვრება თავიანთ მთებში.

ბ. ელანიძე.

## სოფლის ადმინისტრაცია.

24 აპრ. სოფ. ფოცხოში (სენაკის მაზრა) ჯარობა იყო, სადაც თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა სხვადასხვა სოფლიდან. თვითეულ საზოგადოებას თან მოყვებოდა თავთავის კომისრები რამდენიმე მილიციონერებით. საღამოს 6 საათ. ზოგიერთთა შორის მოხდა ჩხუბი, რასაც მოყვა თოფების სროლა, როგორც მთავრობის, ისე კერძო პირებისაგანაც. არეულობამ გასტანა საათი,—რასაც შედეგათ მოჰყვა ადგილობრივი მილიციონერების მიერ ერთი მცხოვრების დაჭრა და ერთი ადგილობრივი ფოცხოელი გლეხის—მოკვლა. მოხდა ასეთი ფართო ინციდენტი და ადმინისტრაციას არავითარი ზომა არ მიუღია, იგი პირიქით გაიქცა მთელი თავისი შემადგენლობით. აღელვებული ხალხი კი მინდვრად დატოვეს ღვთის ანაბარად, რის შემდეგაც უშიშრად დაზუზუნებდა ყოველმხრივ ტყვია სხვადასხვა ჯურის იარაღებიდან.

მეორე დღეს—მკვლელ მილიციონერს ვხედავთ თავისუფლად. არავინ იღებს ხმას, რომ დამნაშავე დაკავებულ იქნას და ხალხისთვის მაინც ეჩვენებინათ, რომ მთავრობა არსებობს, დამნაშავეს სჯის და სამართლიანობას გვერდს არ უხვევს.

ხედავს რა ხალხი ასე მსუბუქად დაცვას ხალხის ინტერესებისას, იგი ღელდება და ყოველგვარ იმედებს კარგავს მთავრობისადმი.

აღელვებულმა საზოგადოებამ მესამე დღესვე მოახდინა კრება და ერთხმად დაადგინა გადაყენებულ იქმნას ადგილობრივი ადმინისტრაცია მთელი თავისი შემადგენლობით. ასეთი რეზოლუცია ეცნობა ადმინისტრაციის უფროს წარმომადგენელს. საზოგადოების მოთხოვნილება სისრულეში იქმნა მოყვანილი, რამაც ცოტათ დაამშვიდა საზოგადოება. ყოველ ასეთ შემთხვევაში თუ მთავრობის წარმომადგენლებმა არ მიიღეს საჭირო ზომები და არ გამოიჩინეს სახელმწიფოებრივი უნარი, ადვილი შესაძლებელია ხალხში დაეცეს მთავრობის პრესტიჟი, რასაც არა სასურველი შედეგები მოჰყვება.

სილ. მარგალი.

## † თავისუფალი სვანი

(დეკ. ბესარიონ ნიჟარაძე)

სვანეთიდან მეტათ სამწუხარო ამბავი მოვიდა. აღდგომის წინა დღეებში იქ გადაცვლილა ქართველი მოაზროვნე საზოგადოებისათვის კარგათ ცნობილი მოღვაწე ბეს. ნიჟარაძე. იგი ილია ჭავჭავაძის წრეს ეკუთნოდა და ძველ ივერიაში ,,თავისუფალი სვანის'' ფსევდონიმით ათავსებდა წერილებს. ამავე ფსევდონიმით უკანასკნელ დრომდე სხვა ჟურნალ-გაზეთებშიაც მოღვაწეობდა. მისი წერილები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ ღრმა დავკირვების და დარბაისლურ შესწავლის სამაგალითო ნიმუშებს წარმოადგენენ და სავსე არიან იმ კეთილშობლური სიყვარულით ერისადმი, რომელიც ახასიათებდა მის თაობას.

საქართველოს სიძველეთა კვლევა-შეგროვებაში განსვენებულს საპატიო ადგილი ეკუთვნის.

განსვენებულის სრული ბიოგრაფია დაბეჭდილი იქნება შემდეგ ნუმერში.

## უკანასკნელი ცნობები

## უცხოეთის ამბები

## ტელეგრამები.

**გერმანია ზავის პირობების შესახებ.**

გერმანიის პოლიტიკური პარტიები იზიარებენ იმ აზრს, რომ ზავის პირობები ყოველივე მოლოდინს აჭარბებს და მძიმე მარცხს უმზადებს იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც ენდვენ რა ვილსონის პროგრამას, მოითხოვდენ გერმანიის იარაღი ძირს დაეშვა და ომი შეეჩერებია.

ყველა გაზეთები იმას ამტკიცებენ, რომ მოკავშირეთა პირობები მიუღებელია და უნდა საგრძნობლად შეიცვალოსო. თითოეულ პუნკტზე გერმანია კონტრ-წინადადებას იძლევა. თუ მოკავშირენი ამაზე არ დასთანხმდებიან, მათ დარჩებათ მხოლოდ ის, რომ თავიანთი ნაძალადევი ზავი, ნაძალადევი საშუალებებით განახორციელონ.

,,რეინიშე—ვესტფალიშე—ცეიტუნგე'' მოითხოვს კატეგორიულ უარყოფას ზავის პირობებზე

**გერმანიის დელეგაციის გამგზავრება ბერლინში.**

გერმანიის მისიის წევრები საფრანგეთიდან ბერლინს გაემგზავრნენ. მათ თან წაიღეს საზავო ხელშეკრულების პირობები.

**საფრანგეთი ზავის პირობების შესახებ.**

საფრანგეთი კმაყოფილია ზავის პირობებით. ფრანგული პრესა ერთხმად აღიარებს, რომ უმთავრესი პირობა უკვე მიღწეულია ამ პირობებით—განთავისუფლება მთელი ევროპის გერმანული საფრთხისაგან, რომელიც ეგზომ ხანგრძლივად სტანჯავდა ყველასო. ზავის პირობები სრულიად მისაღებია და გერმანია მას უნდა დასთანხმდესო.

**კურლანდიის ბლოკადა.**

ინგლისმა კურლიანდიის სანაპიროების ბლოკადა გამოაცხადა.

**ბოლშევიკების დამარცხება.**

ბოლშევიკებმა ქ. ურალსკი დასცალეს.

## საქართველოს ამბები.

დამფუძნებელი კრება.

**შაბათ საღამოს დამფუძნებელმა კრებამ დაასრულა კამათი ინგლისთან დამოკიდებულების შეხახებ; სასტიკად გაილაშქრა ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ სოც. ფედ. ს. მდივანმა; დაბოლოს მიიღეს სოც.-დემოკრატიული დადგენილება, ჩვეულებრივი შინაარსის.**

ინგლისი მიდის.

დამფუძნებელი კრების გათავების წინ მთავრობას მიუღია გენ. ტომსონის ტელეგრამა, რომელიც იტყობინება, რომ ინგლისის ჯარები კავკასიას დაცლიან და მათ მაგიერ მოვა იტალიის ჯარიო;

ამ ფაქტს ზოგიერთი იმით ხსნის, რომ გერმანიას ზავის პირობები არ მიუღია, ომი განახლდება ინგლისის ჯარები უფრო საჭირონი ხდებიან დასავლეთ ფრონტისათვის, სადაც მოსალოდნელია რომ გერმანიის ჯარებს შეუკავშირდებიან რუსებიც.

იტალია მოდის.

ცნობებია, რომ ბათუმში უკვე მოსულა იტალიის ჯარი დი მისია. ამბობენ მას ხელმძღვანელობს იტალიის მეფის ბიძაშვილიო.

## ჩვენს თანამოაზრეთ ვთხოვთ დაეხმარონ გაზეთ ,,კლდის'' ფონდის გაძლიერებას.

,,კლდის'' რედაქცია სთხოვს პროვინციაში მყოფ პარტიის წევრთ და თანამოაზრეთ მოგვაწოდონ კორესპონდენციები ადგილობრივი ცხოვრების შესახებ;

კორესპონდენტებს გაზეთი უფასოდ გაეგზავნებათ.

**არდაგანის ოლქში.**

არდაგანიდან დაბრუნდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული გ. ვეშაპელი; მისი ცნობებით, ქრისტიანი ქართველობა (მართლმადიდებელნი და კათოლიკენი) უკვე ბრუნდება ოლქში; მათ უნდა დახმარება მეურნეობის აღსადგენათ; დახმარება ესაჭიროება აგრეთვე არტაანის ოლქში დარჩენილ და სამხედრო ოპერაციებით დაზარალებულ მაჰმადიან ქართველობას.

**კაჩუხოვის საქმე.**

კაჩუხოვს აპელაცია შეუტანია სასამართლოს დადგენილებაზე და თავისი საქმე პალატაში გადააქვს. მოსალოდნელია დიდი რიგი ახალი მოწმეებისა, რადგან პირველმა პროცესმა უკვე გატეხა ნამსი კაჩუხოვის მექრთამეობის ჩვენებისა.

**ს. ჯაფარიძის გადაყენება.**

იუსტიციის მინისტრის ამხანაგი, რომელმაც უკანონოდ დაითხოვა სასამართლოს პალატის თავმჯდომარე ბ-ნი ღვდლიშვილი, სამსახურიდან გადადგა.

**სახელმწიფო კონტროლიორის არჩევა.**

დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე დასმული იყო დღიურ წესრიგში სახელმწიფო კონტროლიორის არჩევნები. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ბიურომ ამ თანამდებობაზე დაასახელა ფილიპე გოგიჩაიშვილი, რომელიც ამ ჟამად კონტროლის თანამდებობას ასრულებს. ამ რიგათ არჩეული იქმნა ფ. გოგიჩაიშვილი, რომელმაც მიიღო 61 თეთრი და 2 შავი კენჭი.

**სამხედრო ბეგარა.**

დამფუძნებელ კრებამ მიიღო კანონი, რომელის ძალითაც სამხედრო ბეგრის მოხდისაგან განთავისუფლებული არიან სხვათა შორის ერთად ერთი ოჯახის მარჩენელი შვილები. კანონი ძალაში შევა მუხლობრივ განხილვის შემდეგ. ხოლო მუხლობრივ განხილვა მოხდება ზეგ—სამშაბათს.

**ქართველ მხატვართა გამოფენა.**

კვირას 4 მაისს ნაშუადღევის 2 საათზე რუსთველის პროსპექტზე, „დიდუბის ტაძარში" გაიხსნა ქართველ მხატვართა ნაწარმოებთა გამოფენა. პირველ დღეს შესასვლელი ფასი იყო 25 მ. გამოფენამ პირველ დღიდანვე მრავალი ხალხი მიიზიდა. გამოფენას დაესწრენ მთავრობისა და დამფუძნებელ კრების წევრები, სხვადასხვა კულტურულ და სამხატვრო საზოგადოებათა წარმომადგენლები. თფილისში მყოფ მისიათა წარმომადგენლები და სხვანი.

**შეცდომის გასწორება.**

წინა ნომერში შ. ქარუმიძის წერილის ბოლოდან მეორე ფრაზაში გამოშვებულია წინადადება: ,,აოხრება დარბევა და დახარკვა მუწოსი და ხახაბოსი (პირიქით ხევსურეთი).

## ,,Times'' და საქართველო.

უკანასკნელ დროს ინგლისის პრესაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგს წერილებისას და შენიშვნებისას ამიერ-კავკასიის მდგომარეობის შესახებ—კერძოთ საქართველოს მდგომარეობის შესახებ.

ავტორი ამ წერილებისა სხვათა შორის სწერს: „ამიერ-კავკასიას სჭირია მაგარი ხელი.

ევროპამ უნდა მიატოვოს ის ფიქრი, თითქოს ოთხი ხალხი, რომლის აკვანთან იგი სდგას, შესძლებდეს თავის-თავის გამართვას, თითქოს მათ შეეძლოთ მშვიდობიანათ ცხოვრება, თუ გინდ იმის შემდეგაც კი, რაც მათი საზღვრების მოუგვარებლობის უთანხმოება საზავო მორიგებით გათავდეა.

სომხებს, ქართველებს, თათრებს და რუსებს ბევრი შეურიგებელი საკითხები ჰყოფს''.

შემდეგ ავტორი იგონებს რა რამოდენიმე შემთხვევას სომხურ—თათრულ უთანხმოებისაგან და რომ დაამტკიცოს, თითქოს, რომ არც ქართველებს შეუძლიათ მშვიდობიანათ იცხოვრონ მეზობლებთან ამბობს:

„ჩვენ რომ არ ჩავრეულიყავით, სომხები და ქართველები დღემდისაც იომებდენ ახალქალაქისა და ბორჩალოსათვის.

„ყველა სამ, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ადგილი აქვს ყოველგვარ მოუწყობლობას; არ არის არავითარი ნიჭი ადმინისტრატიული მართვა-გამგეობისა, ან ცდა ცხოვრების მოწყობისა. შური და ნაციონალური უთანხმოება, არის მამოძრავებელი ძალა აქაური ცხოვრებისა. პოლიტიკური მართვა-გამგეობა სწარმოებს ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში. დამოუკიდებლობა, როგორც ეს ესმით ამიერ-კავკასიაში, შეიძლება აიხსნას ისე, როგორც განადგურება სხვისი უფლებისა და შენახვა საკუთარისა.

ერთ-ერთ უმთავრეს ნაბიჯათ, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გადასდგა იყო... რუსების ყველა საპასუხისმგებლო პოსტებიდან გამოგდება... ეს საშუალება ერთგვარათ მოქმედებდა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირთათვის... არჩევნებზე ხმის უფლებით სარგებლობს მხოლოდ ქართველები.

ფინანსიური მდგომარეობა ქაოტიურია. არ არის საერთო ფინანსიური მოძრაობა სახელმწიფოთა შორის. ქაღალდის ფულები, რასაკვირველია არავითარი ძალის მქონე არ არის. მათი გამოშვება პირდაპირ განუსაზღვრელია.

[illegible]

## „როიტერის“ ტელეგრამის გამო

[illegible]

## „სოციალ-დემოკრატიული იჯარები“.

[illegible]

კრატიულ რესპუბლიკის მიწადმოქმედების სამინისტროს. ჩვენ ყოველთვის გვეგონა, რომ ნოე ხომერიკი, შესაძლებელია კარგი იყოს სოფლის პროპაგანდისტის ადგილზე, რომელიც ერთ დროს გლეხებს ლენინ—ისკრის „ჩამონაჭრებზე“, ან და ხიზანთა დამოკიდებულებაზე ესაუბრებოდა, მაგრამ პასუხსაგებ და მნიშვნელოვან დაწესებულების ხელმძღვანელათ იგი უსათუოთ ვერ გამოდგება. რაც შეეხება პეტრე გელეიშვილს, იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს ის მედიდური ტონი და ფელდფებელური საშუალებანი, რომლითაც იგი მიმართავს ხოლმე თავის ხელქვეითებს. ამ სფეროში პეტრე გელეიშვილს კონკურენციას გაუწევს მხოლოდ „ამხანაგი ბენია“, ეხლანდელი, დღეიდან ისტორიული ქალაქის თავი.

ეხლა ჩვენ შევჩერდებით ორ ფაქტზე ხომერიკისა და გელეიშვილის მოღვაწეობიდან: კოჯორის სახელმწიფო მამულებისა და თფილისის გოგირდის აბანოების იჯარით გაცემა.

შეიძლება, ბევრმა ჩვენზე უკეთ იცოდეს, რომ ბ. ხომერიკმა, პირადი განკარგულებით, ყოველივე ვაჭრობის გარეშე, ყველა საშტაბო ბინები, ფერშალთა შკოლის შენობა და ბოლოს საინსტიტუტო აგარაკები მიწადმოქმედების სამინისტროს მიერ გასცა 30,000 მანეთათ ვინმე შანშიევზე. მთავრობის განკარგულებაში დატოვებულია მხოლოდ ის ბინები, რომელნიც შარშან ელიავას, ხომერიკის, ჟორდანიას და რამიშვილის განკარგულებაში იყო. როგორც ჰგავს მიმდინარე წელს, იგივე ბინები დაჭერილი იქნება საქართველოს ს.-დ. პარტიის იმავე გავლენიან პირებით. ამის საწინააღმდეგო, რასაკვირველია არავის არაფერი არ ექნებოდა. ხალხი ავათ თუ კარგად მუშაობს და ბოლოს ბუნებრივია, საჭიროა სუფთა ჰაერით სარგებლობა, მშვენიერ კოჯორში, მით უფრო, რომ იმ ბინებში, ხსენებული პირები უეჭველია ფულს გადიხდიან და ისე არ მოიქცევიან, როგორც მოიქცა წასულ წელს ყოფილი სამხედრო მინისტრი სოციალ დემოკრატი გიორგაძე.

მაგრამ აქ უბედურება იმაშია, რომ ბატონმა მინისტრებმა იფიქრეს თავიანთ თავზე და ყურადღებაც არ მიაქციეს სახელმწიფო ხაზინას და ქალაქის მცხოვრებთ.

საქმე იმაშია, რომ კოჯორის სახელმწიფო მამულები გაცემულია შანშიევზე უვაჭროთ და უთქმელათ, რომლებსაც შეეძლო მოაგარაკეების დაცვა მოიჯარადრის გაუმაძღრობისაგან. იმ დროს, როდესაც სამინისტრო მოიჯარადრესთან პირობას სდებდა, სრულიად არ მოუხსენებია, რომ გადასახადი ოთახის სარგებლობაზე არ აღმატებულიყო განსაზღვრულ ფასებს. თორემ ეხლა სახელმწიფო ხაზინაც აგებს და ხალხიც მიცემულა მოიჯარადრის ხელში.

შანშიევს, რომელმაც აგარაკში 30.000 მანეთი მისცა, ეხლა აძლევენ 150 ათი-ათას—180 ათას მანეთს. შანშიევმა უკვე მოასწრო და ორ ბაქოელ მდიდარს უკვე მიაქირავა მხოლოდ ორი ბინა 20,000 მანეთათ. და იგი არა ღონდება. შანშიევი პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ეხლა იგი თითოეულ ოთახს 2 ათას მანეთათ აფასებს. ხოლო როცა სიცხეები დადგება თითო ოთახის ფასი ოთხი ათას მანეთს აღემატება.

შანშიევის შემყურე, იხტიბარს არ იტეხენ კერძო ბინების პატრონებიც და ფასებს ძალზე უმატებენ. ხოლო ქანც-გამოლეულ ბავშვების მშობლებს, რომელთათვის კოჯორი მუდამ იყო მშვენიერი სანატორია ეხლავე მრავალი გასაჭირი უმზადდება.

ასეთი ბედი ეწვია გოგირდის აბანოებსაც.

ორივე ეს ფაქტი იმათა ღირს, რომ ყურადღება მიაქციოს, როგორც დამფუძნებელმა კრებამ, ისე ფართე მცხოვრებთა მასამ.

## ქართველი ქალების მოწოდება.

(26 მაისისათვის)

ჩვენ, ქალების ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე, 26 მაისს ჩვენი ჯარის-კაცები შევამკოთ ყვავილებით. ჩვენ ვიცით, რა დიდი გმირობა და თავგანწირულება გამოიჩინეს ჩვენმა ჯარის კაცებმა: აუარებელ მტერთა გარშემორტყმის დროს მათ გადაარჩინეს სამშობლო და თავისი ოჯახები: ძმები, დები და დედები. ჩვენ არ შეგვეძლო მათ ბრძოლის დროს თოფით გვერდში ამოვდგომოდით, რადგანაც ბუნებას ჩვენთვის ეს არ დაუვალებია.

ჩვენ გულითად მწუხარებას გამოვსთქვამთ თუ ვერ მოვიქეცით ზოგიერთ შემთხვევებში სათანადოდ ხოლო დღეს ჩვენს მოვალეობას შეადგენს ყოველი ჯარის კაცი შევამკოთ ყვავილებით. ეს იქნება მორალური მნიშვნელობის საქციელი და ამისათვის მოუწოდებენ ყველა ქართველ ქალს, თუ კი მასში რაიმე ქართული არსებობს, ჩვენთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ამ დღესასწაულში არა ისე როგორც მაყურებელმა, არამედ ისე, როგორც ომიდან დაბრუნებული ძმის საპატივცემოდ გამართულ ნადიმზე ეს ჩვენგან დიდ შრომასა და ხარჯს არა თხოულობს: ყველა ჩვენგანმა რომ თითო ყვავილი და თითო ქინძისთავი იქონიოს მკერდზე გასაბნევათ ოცჯერ მეტი გამოვიდოდა იმაზე ყვავილი, ვინემ ჯარი გვყავს.

მოუწოდებთ ჩვენს ამხანაგებს შეასრულოს ეს მცირე ვალდებულება არა შიშით და დარცხვენით, როგორც ქართველ ქალებს ჰჩვევიათ, არამედ გაბედულად და იმის შეგნებით, რომ ისინი სახალხო საქმეს აკეთებენ.

ქალთა ერთი ჯგუფი.

## დაშნაკცაკანის აღსარება.

(კარჩიკიანის მკვლელობა)

სასამართლო კარჩიკიანის მკვლელს მინასიანს ეკითხება:

სთვლით თუ არა თქვენ თავს დამნაშავეთ, რომ წარსული წლის 14 ნოემბერს, „მაუზერის“ სისტემის რევოლვერის სამი გასროლით, თქვენ მინისტრს კარჩიკიანს შვიდი ჭრილობა მიაყენეთ, რომლისაგან იგი მაშინვე გადაიცვალა?

— არა, ვღებულობ მხოლოდ ფაქტს, დამნაშავეთ კი ჩემს თავს არა ვსთვლი, მშვიდობიანათ უპასუხებს კარჩიკიანის მკვლელი.

ბრალდებულთა სკამზე ზის ახალგაზრდა კაცი, 28 წლისა, ყოფილი მოხალისე, ხოლო შემდეგ კი ოფიცერი—ეგორ მინასიანი.

მინასიანმა დამცველის ყოლაზე უარი სთქვა, თავის თავს თვით იცავდა.

ირკვევა, რომ მინასიანმა დიდი ხანია გადასწყვიტა კარჩიკიანის მოკვლა და ამას თავის ახლობლებსაც ეუბნებოდა. იმ გაჭირვებამ, რომელიც სომხის ერმა განიცადა დიდი გავლენა მოახდინა მასზე. იგი ხშირათ ჩაფიქრდებოდა ხოლმე, გაჩუმებული იყო მთელი დღეებით, ხოლო როცა დაილაპარაკებდა, ვერ ითმენდა წინააღმდეგობას და ღელავდა. მას აძლევდენ ყაზახის რაიონის კომისრის პოსტს, მაგრამ უარს ამბობდა. არა ერთხელ იგი ეუბნებოდა თავის ნაცნობებს, რომ იგი მოჰკლავს სომხის ერის დამღუპველთ: მამედ-ალი-ფაშას, აზატიანს და კარჩიკიანს.

როცა მან ესროლა კარჩიკიანს იგი დაიხარა მიცვალებულამდი და ჩასძახა: „ერის დამცველოო!“ შემდეგ იგი გაიქცა და დანებდა მმართველობას იმ პირობით, რომ იგი წარსდგებოდა მთელი ხალხის სამსჯავროს წინაშე.

მინასიანი წინათაც ყოფილა სამართალში მიცემული —ორი მკვლელობის გამო, მაგრამ გაიქცა. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს იგი მონაწილეობას ღებულობდა მებრძოლ ორგანიზაციაში „ბოიაზში“.

დაშნაკციუტუნის პარტიის შინაურ ცხოვრებაში ადგილი არა აქვს არავითარ სხვადასხვაობას. არავითარი განსხვავება არ არსებობს ორიზონსა და აშხატავორს შუა. არიან მხოლოდ ცალკე პიროვნებები. ხოლო რაც შეეხება კარჩიკიანს, იგი აწარმოებდა პარტიულ პოლიტიკას და ხელმძღვანელობდა კომიტეტის დირექტივებით ვინაიდან მოხალისეთა მოძრაობა, ბრალდებულს, დიდ უბედურებათ მიაჩნდა, იგი ცდილობს გამოირკვიოს კარჩიკიანის როლი იმ მოხალისეთა დრუჟინების შედგენაში, რომელიც 1914 წელს მოხდა. და მან გაიგო, რომ როცა დაინთო საერთაშორისო ომის ცეცხლი, მეტი წილი დაშნაკციუტუნის პარტიისა კავკასიაში იმ აზრისა იყო, რომ ხელი შეეწყოთ მოხალისეთა მოძრაობისათვის. კარჩიკიანი იყო ერთ-ერთი წევრი ეროვნული ბიუროსი, რომელიც განაგებდა დრუჟინის ორგანიზაციას. ბრალდებული ამაში ხედავს ღალატს იმ პარტიული გადაწყვეტილებისას, რომელიც მოხდა ერზერუმში, ომის წინა დროს, სადაც გადაწყვეტილი იყო, რომ თუ ომი მოხდა მოწოდებით მიგვემართა ყველა სომხობისათვის, რომ აესრულებიათ მოქალაქეობრივი ვალი იმ სახელმწიფოისა, რომელსაც ისინი ეკუთვნოდა და იმ დროს ცხოვრობდა. სომხების გამოსვლა რუსების მხრივ იყო სულელური ავანტიურა, რომელიც სომხის ერს ასი ათასი სიცოცხლე დაუჯდა. როცა მოვიდა კავკასიაში ძველი ბელადი პარტიისა როსტომი, იგი ძალზე აღელდა ამ ავანტიურით, მაგრამ უკვე გვიანი იყო. პარტიას ხელმძღვანელობდა არა ძველი, გამოცდილი წინამძღოლნი, არამედ ხალხი ახალი ფორმაციისა, რომლებმაც პარტია კომპანიათ გადააქცია. ქრისტეფორე მიკაელიანი, ზავარიანი და როსტომი აი, დამფუძნებელნი პარტიისა. ისინი ყოველთვის ხალხთან იყო და მასთან ერთად დაიღუპა. განა დღეს შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გვყავს სინდისიერი მოღვაწეები?

მთელ პარტიას მინასიანი ჰყოფს სამ ნაწილათ: ძველი მუშაკნი, რომელნიც წმიდათ იცავდენ ეროვნულ იდეას. მათ სოციალიზმით დაიწყეს, მაგრამ მალე მიხვდენ, რომ საჭირო იყო ნაციონალური პოლიტიკა- მეორე ნაწილმა მიიღო სახე სოციალისტებისა, მაგრამ მუდამ რყევაშია. დღეს იგი ნიკოლოზს უკავშირდება (მოხალისეთა მოძრაობა)—ხვალ ამ ჯგუფის წევრები სოციალისტებია. როგორ ხდება ასე მალე, ასეთი მეტამორფოზა? ისინი შევიდენ რევოლუციონურ ორგანოებში, სადაც წარმოსთქვამდენ ლამაზ სიტყვებს და აღრმავებდენ რევოლუციას. ისინი მშვიდობიანათ ისხდენ მთავრობაში და არ ფიქრობდენ იმაზე თუ როგორ შიშვლდებოდა ფრონტი. რატომ არავინ ხედავდა მათ ხალხში? განა იმ თავითვე ცხადი არ იყო,—რომ რევოლუციონური პროცესი წავა შორს, რომ საჭიროა ზრუნვა ეროვნულ სამხედრო ნაწილების შედგენაზე, რომ საჭიროა ფრონტის მთლიანათ დაცვა? ამის მაგივრათ ისინი ეძებდენ გაერთიანებულ დემოკრატიას და ლაპარაკობდენ სოციალიზმზე. ამ დროს, ხალხი კი, იღუპებოდა მათი წყალობით. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა მარტიროს არუტუნიანი, კარჩიკიანი, ჯამალიანი. უკანასკნელი იყო „ყველაზე გამოჩენილი სოციალისტი, რადგან ყველაზე მეტს ლაპარაკობდა სოციალიზმზე“. მაგრამ ყველაზე მაგარი მათში იყო კარჩიკიანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა სომხების ინტერესების დაცვა ამიერ-კავკასიის კომისარიატში. მე ვამტკიცებ, რომ კარჩიკიანის პიროვნება ბევრ დანაშაულთან არის დაკავშირებული: მას წილი უდევს მოხალისეთა მოძრაობაში, ყარსის გადაცემაში და სხვა. კარჩიკიანმა შექმნა სომხური ნგრევა, განადგურება ოსმალეთის სომხებისა და ყარსის გადაცემაც მისი ბრალია. როგორ შეეძლო მას არ სცოდნოდა ის დანაშაული, რომელიც ჩხენკელმა ჩაიდინა? ჩვენ, ალექსანდროპოლში, ველოდით, რომ ყველა დამნაშავენი ყარსის გადაცემაში მიცემული იქნებოდენ სამართალში, როგორც მოღალატენი, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდენ ხალხის მართვას. ხალხის მართვას!—ტყუილათ კი არ სწერდა აგამილიანი, კარჩიკიანის სიკვდილის შემდეგ, რომ „განსვენებული ეკუთვნოდა იმ ხალხს, რომელიც დაბადებულია მხოლოდ იმისთვის, რომ ხალხი მართოსო“. მართოს! მაგრამ ვის უნახავს კარჩიკიანი ხალხთან, სოფელში, სიკვდილის წინ?—არავის და არასოდეს.

კარჩიკიანი იყო გამომსახველი ახალი მიმართულებისა დაშნაკურ პარტიაში და ამიტომ იგი უნდა დაღუპულიყო!

როგორც ვიცით სასამართლომ მინასიანს 10 წლის კატორღა მიუსაჯა.


მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ

**თეატრი და ცხოვრება-ზე**

წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მა. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თფილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თფილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ [illegible]

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.


## მატარებლების მიმოსვლა

### მიდის თფილისიდან.

**ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღამ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან—ღამის 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან—ღამის 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამის 3 ს. 50 წ.
ფოთში —— დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მან.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან—დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან საღამოს 6 საათ.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში —— ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მან.

**ქუთაისში:**

მ. № 9 სამგზავრო საღამოს— 10 ს. 30 წ.
ქუთაისში მივა დილის — 7 ს 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

**ბორჯომში:**

№ 19 სამგზავრო დღის 3 ს. 30 წ.
გორიდან საღამოს 6 საათ. 30 წ.
ბორჯომში მივა საღამოს 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მან.

**ბაქოში:**

მ. № 4 საფოსტო ღამის 11 ს. 10 წ.
მ. № 8 სამგზავრო განჯამდე დღის 3 ს. 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო ყოველ დღე საღამოს 9 საათზე ბაქომდე პლაცკარტის ფასი ბაქომდე I კლ. 60 მ. II კ. 40 მ. III კ. 20 მ.

**ყარსისაკენ—ერევანში:**

მ. № 4 საფოსტო დღის — 1 საათ. 40 წ.
ამას გარდა კვირა უქმე დღეებში

**მცხეთაში:**

მ. № 61 დილის — — — 7 საათ. 37 წ.
მ. № 63 — — — — — — დღის 3 ს.

### მოდის თფილისში.

**ფოთიდან:**

მ. № 2 სასწრაფო დილის 9 საათ. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღამ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღამოს 8 საათ. ფოთიდან გამოვა დილის 7 ს. 40 წ.

**ქუთაისიდან.**

№ 12 დილის — — — — 8 ს. 15 წ.
ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 ს. 33 წ.

**ბორჯომიდან.**

№ 20 დილის — — — — 7 ს. 20 წ.
ბორჯომიდან გამოვა ღამის 12 ს. 46 წ.

**ბაქოდან.**

მ. № 3 საფოსტო დღის — — 4 ს. 30 წ.
№ 5 სასწრაფო დილის — — — 7 ს.
№ 7 სამგზავრო განჯიდან დილის 8 ს. 30 წ.
№ 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი I კლ.—60 მ., II კლ. 40 მ. III კ. 20 მ.

**ნახჩევანიდან და ყარსიდან.**

მ. № 3 საფოსტო დილის — 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში

**მცხეთიდან.**

№ 62 დილის — — — 11 ს. 10 წ.
№ 64 საღამოს — — — 7 ს. 20 წ.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.